



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ხუროძე რამაზ ადოლფის ძე



ხუროძე რამაზ ადოლფის ძე (დ. 9.IX.1944, თბილისი), მეცნიერი ტექნიკის დარგში, საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2019; წ.-კორ. 2001), ვიცე-პრეზიდენტი (2023); ტექნ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1997). საქართვე. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (სხვებთან ერთად, 1998).

რ. ხუროძე

1966 დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი. 1967-81 მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინტ-ში მთ. მეცნიერ თანამშრომლად, განყ-ბის გამგედ; 1972-75 მივლინებული იყო სსრკ მეცნ. აკად. ვ. ტრაპეზნიკოვის სახ. მართვის პრობლემების ინტ-ში. იყო საქართვე. უმაღლესი და საშუალო სპეც. განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (1982-87); საქართვე. განათლების მინისტრის მოადგილე (1987-91); სტუ-ის პრორექტორი (1991-93), რექტორი (1993-2006). 2006-იდან დღემდე არის სტუ-ის ემერიტუსი და პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი. სხვადასხვა წლებში ასევე ეკავა პარტიული თანამდებობები.

ხ-ის სამეცნ. ინტერესები უკავშირდება მართვის სისტემების კვლევას და ხელოვნური ინტელექტის პრობლემებს. იგი აღიარებულია საქართველოში მართვის სისტემების ანალოგურ მონყობილებათა საიმედოობის მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლად. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 15 მონოგრაფია და 13 სახელმძღვანელო; არის 3 გამოგონების ავტორი. მისი ნაშრომები გამოქვეყნებუ-

ლია საზღვარგარეთ (აშშ, გერმანია, რუსეთი და სხვ.). არის რამდენიმე საერთაშ. სამეცნ. საზ-ბის წევრი, მ. შ. გაეროს ინფორმატიზაციისა (1993) და საერთაშ. საინჟინრო (1995) აკადემიების წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სამთავრობო ჯილდოები.

თბ.: Development for the Learning Process for the Neuron and Neural Network for Pattern Recognition. American Journal of Intelligent Systems. Vol. 5 (N1), 2015; Mathematical Models to Control Reliability for Redundant Technical Systems (Co-auth. N.Svanidze). Georgian National Academy of Sciences Press, Tb., 2019; უსაფრთხოების ახალი ტექნოლოგიები 6G ქსელისათვის. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2022.
